ღირსი მამა გიორგი მთაწმინდელის გორის სკოლა-გიმნაზია

ლიტერატურული კლუბი
(საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეთათვის)
დებულება
(პროექტი)

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. ლიტერატურული კლუბი არის ლიტერატურით დაინტერესებულ მოსწავლეებს ნებაყოფლობითი გაერთიანება.
2. კლუბი მოქმედებს ამ დებულების საფუძველზე და საქმიანობის განხორციელებისას ხელმძღვანელობს ურთიერთპატივისცემის, თავისუფალი აზრისა და შემოქმედებითი განვითარების პრინციპებით.
3. კლუბის სამუშაო ენა არის ქართული (საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია სხვა ენების გამოყენებაც).

მუხლი 2. მიზნები და ამოცანები

კლუბის მიზანია მოსწავლეთა შორის ლიტერატურის პოპულარიზაცია.

კლუბის ამოცანებია:

- კითხვის კულტურის განვითარება;
- შემოქმედებითი უნარების მხარდაჭერა;
- კრიტიკული აზროვნებისა და დისკუსიის კულტურის გაძლიერება;
- ავტორებთან შეხვედრების ორგანიზება;
- კონკურსების მოწყობა;
- კლუბის წევრთა ნამუშევრების გაცნობა და შეფასება;
- თემატური საღამოებისა და პროექტების განხორციელება.
- წიგნის განხილვა;
- ლიტერატურული ღონისძიებების ორგანიზება.

მუხლი 3. წევრობა

1. კლუბის წევრი შეიძლება გახდეს სკოლა-გიმნაზიის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლე, რომელიც იზიარებს კლუბის მიზნებს.
2. წევრად მიღება ხდება განაცხადის საფუძველზე.
3. წევრს უფლება აქვს:
   - დაესწროს შეხვედრებს და მიიღოს მონაწილეობა კლუბის ღონისძიებებში;
   - წარადგინოს საკუთარი ნამუშევრები;
   - წამოაყენოს ინიციატივები.
4. წევრი ვალდებულია:
   - დაიცვას კლუბის წესები;
   - პატივი სცეს სხვა წევრების აზრს;
   - ხელი შეუწყოს კლუბის განვითარებას.

მუხლი 4. მართვის სტრუქტურა

1. კლუბს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე.
2. თავმჯდომარეს ირჩევენ წევრები კლუბის შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით (ვადა - 1 წელი).
3. თავმჯდომარის ფუნქციებია:
   - შეხვედრების ორგანიზება;
   - საქმიანობის კოორდინაცია;
   - კლუბის წარმომადგენლობა.
4. საჭიროების შემთხვევაში თავმჯდომარის გადაწყვეტილებით იქმნება საორგანიზაციო ჯგუფი.

მუხლი 5. საქმიანობის ფორმები

კლუბის ძირითადი საქმიანობა მოიცავს:

- პერიოდულ შეხვედრებს;
- ლიტერატურულ დისკუსიებს;
- საჯარო კითხვებს;
- თემატურ პროექტების მომზადებას და წარდგენას;
- ონლაინ აქტივობებს;
- სკოლა-გიმნაზიის ღონისძიებებში მონაწილეობა.

მუხლი 6. შეხვედრები

1. შეხვედრები ტარდება თვეში ერთხელ მაინც ან საჭიროების შემთხვევაში კლუბის წევრთა შეკრებაზე წინასწარ შეთანხმებული განრიგით, რომელიც თანხმდება სკოლა-გიმნაზიის აღმასრულებელ დირექტორთან.
2. შეხვედრის თარიღი და თემა წინასწარ ცხადდება.
3. გადაწყვეტილებები მიიღება დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

მუხლი 7. დებულებაში ცვლილებების შეტანა

დებულებაში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია წევრთა უმრავლესობის გადაწყვეტილებით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

ეს დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე და ვრცელდება კლუბის ყველა წევრზე.